საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება №6/36

ქ.თბილისი "20" ივლისი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის ხელმეორედ გამოვლენის თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის 12 ივლისის N11 სხდომის ოქმის, ანა ზარიძისთვის კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტის პოზიციის შეთავაზების თაობაზე კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივლისის N01/2466-17 წერილის, ანა ზარიძის მიერ 2017 წლის 17 ივლისის N79/5303-17 პოზიციის დაკავებასთან დაკავშირებით მიღებულ წერილზე პასუხისა და ადამიანური რესურსების მართვის ჯგუფის უფროსის თ. ბოკუჩავას 2017 წლის 19 ივლისის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით დაევალოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას:

ა) იმსჯელოს ამ კონკურსის მონაწილე სხვა კანდიდატებიდან გამარჯვებულის გამოვლენის შესაძლებლობაზე, კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად;

ბ) წარმოადგინოს გადაწყვეტილება არაუგვიანეს 2017 წლის 26 ივლისისა;

3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლს აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

საფუძველი: თ. ბოკუჩავას მოხსენებითი ბარათი კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით (19.07.17. შ-10/5362-17).

კომისიის თავმჯდომარე **კახი ბექაური**